გრამატიკის სწავლება სახალისო აქტივობებით

ციცინო ბუკია

ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკის განახლების აუცილებლობა დღითიდღე უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება. მოსწავლეთა უმრავლესობისთვის თეორიის რუტინული დასწავლა მოსაწყენი და დამღლელია.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ნდივიდუალური, შემოქმედებითი მიდგომა ანუ რთულის - მარტივად, მოსაწყენის - სახალისოდ, რუტინულის - საინტერესოდ ქცევას ემსახურება და, ხშირ შემთხვევაში, ძალიან შედეგიანი შეიძლება აღმოჩნდეს.

მასწავლებელი აქტივობების დასაგეგმად იყენებს წინარე ცოდნას, პედაგოგიურ თეორიებს ან საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, ან ამ ყველაფერს ერთად, რაც განაპირობებს კიდეც მის აკადემიურ თავისუფლებას. მაგრამ ერთი რამ ცხადია - თამამი, კრეატიული მიდგომებით პედაგოგი შეიძლება გახდეს მოტივატორი მოსწავლისთვის.

ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლები უდროობას უჩივიან და ამის გამო უარს ამბობენ ინოვაციური მეთოდების გამოყენებაზე, თუმცა საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ მცირედი ძალისხმევაც მოსწავლეთა დასაინტერესებლად შესაძლოა საკმარისზე მეტიც აღმოჩნდეს.

ჩემ მიერ მე-6 კლასში ჩატარებული გაკვეთილის დაგეგმვისას გავითვალისწინე (თემა:*„ზმნის ცვლა პირების მიხედვით“)* კონსტრუქტივისტული მიდგომა, როგორც „ჟ. პიაჟეს, ლ. ვიგოტსკის და χ. ბრუნერის თეორიების ლოგიკური შედეგი“. ვეცადე, ხაზი გამესვა მოსწავლის მიერ პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელობისთვის და, უპირველეს ყოვლისა, მეხელმძღვანელა კარლ როχერსის ჰუმანისტური თეორიით.

ჩემ მიერ ზემოთ ხსენებული გაკვეთილის ეფექტურად ჩასატარებლად გადავწყვიტე, გამეკეთებინა პრეზენტაცია Power point-ის პროგრამის გამოყენებით. ტექსტი თითქმის მთლიანად ეფუძნებოდა სახელმძღვანელოში მოცემულ თეორიას, რომელსაც დავამატე ჩემ მიერ მოფიქრებული აქტივობები (წიგნში დაბეჭდილი სავარχიშოების ანალოგიით).

პრეზენტაციამ მოსწავლეთა დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია. მიზეზი მათთვის მისაღები და საინტერესო ვიზუალური ფორმა და თამაშის ფორმატით მიწოდებული თეორია აღმოჩნდა.

პირველ რიგში, ახალი ინფორმაციის ძველზე დასაშენებლად გავიხსენეთ განვლილი მასალა. მოსწავლეები ხელის აწევით, სურვილისამებრ, ცდილობდნენ სლაიდზე მოცემული კითხვებისთვის სწორი პასუხები გაეცათ.

(სურ 1.)

მომდევნო ოთხი სლაიდი შეიცავდა ახალ მასალას, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეთათვის ვიზუალურად მისაღები ფორმით იყო გადმოცემული: (სურ. 2)



(სურ. 3)

ზმნას სამი პირის ფორმა აქვს, თითოეულს პირს ემატება შესაბამისი მრავლობითი

მე ვხატავ

შენ ხატავ

ის ხატავს

ჩვენ ვხატავთ

თქვენ ხატავთ

ისინი ხატავენ

თავსართ-ბოლოსართებს, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ ზმნის პირისა და რიცხვის ფორმებს **პირის და რიცხვის ნიშნები ეწოდება**

(სურ. 4)

პირის ნიშნები ზმნებს პირთა რაოდენობის მიხედვითაც განარჩევს. არასწორი ხმარებით ზმნები შეიძლება ერთმანეთში აირიოს.

წერს ის

სწერს ის ძმას წერილს

წყვეტს ის ვაშლს

სწყვეტს ის პერანგს ღილს

ტეხს ის კაკალს

სტეხს ის ხეს ტოტს

(სურ. 5)

მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ თეორიას და ადასტურებდნენ, რომ მათთვის ყველაფერი გასაგები იყო. განსაკუთრებული გამოცოცხლება გამოიწვია შემაჯამებელმა სლაიდმა და ჩემმა განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ, თუკი მომდევნო სურათზე მოცემულ ყველა კითხვას უპასუხებდნენ, ეს დაადასტურებდა, მათ კომპეტენციას და გამარჯვებული ბავშვები იქნებოდნენ. კონკრეტული მოსწავლის რეპლიკამ: „ნეტავ, ყველაფერში რეალურ ცხოვრებაშიც ვიყოთ გამარჯვებული“, - ჩემი მხრიდან გულწრფელი, ემპათიური და მხარდამჭერი უკუკავშირი გამოიწვია. ვეცადე, გაკვეთილის განმავლობაში რამდენჯერმე დამესვა მისთვისა და სხვა მოსწავლეებისთვის სხვადასხვა კითხვა და სწორი პასუხის მიღების შემდეგ განვუცხადე: „აი, ხომ ხედავთ, რეალურ ცხოვრებაშიც გამარჯვებული ბავშვები ხართ!?“

მოსწავლეებთან პერმანენტულად უნდა წარიმართოს პოზიტიური, კონსტუქტივისტული და, როჯერსის თეორიის თანახმად, ჰუმანისტური კომუნიკაცია, რათა დაიძლიოს კომპლექსები და გახდნენ მეტად თავდაჯერებული.

(სურ. 6)

როგორ დაგვამახსოვრდა?

1. რის მიხედვით იცვლის ზმნა ფორმას?
2. როდის ვამბობთ, რომ ზმნა დგას პირველ პირში? მეორე ან მესამე პირში?
3. რამდენი პირის ფორმა აქვს ზმნას?
4. რა ეწოდება თავსართ-ბოლოსართებს, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ ზმნის პირის ფორმებს, რომელია ეს თავსართ-ბოლოსართები?

სწორი პასუხებით თავადაც აღფრთოვანებული მოსწავლეები სიხარულს უშურველად გამოხატავდნენ, ადგილზე ცქმუტავდნენ და გაბრწყინებული თვალებით მოითხოვნენ, რომ კიდევ დამესვა კითხვები.

გარე მოტივაციის ეფექტის შემდეგ შინაგანადაც მოტივირებულ კლასს ჩემ მიერ შედგენილი სავარჯიშოების გაკეთება შევთავაზე. სლაიდზე მოცემული აქტივობების შესრულებას ხელის აწევით ითხოვდნენ, ცდილობდნენ ერთმანეთისთვის დაესწროთ, მათი ყურადღება შეჯიბრებითობის სულმა სრულად მოიცვა, იმდენად, რომ მთლიანად საქმეზე იყვნენ კონცენტრირებული.

(სურ. 7)

სავარჯიშო 1.

შეავსეთ ზმნები პირისა და რიცხვის მიხედვით:

ვსწავლობ

ვარჯიშობს მე --------- ჩვენ ---------

ვცეკვავ

მეცადინეობ შენ --------- თქვენ ---------

ის --------- ისინი ---------

(სურ. 8)

სავარჯიშო 2.

შეურჩიეთ ზმნას პირისა და რიცხვის ნიშნები სწორად და ჩასვით წინადადებაში:

1. წუხელ დიდხანს *(ვთამაშობდი, თამაშობდი, თამაშობდა)* და გვიან *(დავიძინე, დაიძინე, დავიძინეთ).*

2. ჩემს სახლთან მტრედები *(ვცხოვრობთ, ცხოვრობს, ცხოვრობენ)*

3. შენ გუშინ კარგად *(დავუხვდი, დაუხვდი, დაუხვდნენ)* **სტუმრებს.**

4. ჩემმა კლასელებმა გაკვეთილი არ *(ვიცოდი, იცოდნენ, იცოდა).*

5. თემური *(დაიბნა, დავიბენი, დაიბენი).*

6. ჩემი ფისო აიწვიდან *(გაიპარე, გაიპარა, გავიპარე).*

პრეზენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ საგაკვეთილო დროის 10 წუთი იყო დარჩენილი, რაც ყოველი მოსწავლის (არა მარტო მათი, ვინც იაქტიურა) მიერ შეძენილი ცოდნის შემოწმების შესაძლებლობას იძლეოდა და სრულფასოვან უკუკავშირს მომცემდა.

მოსწავლეებმა ხალისით შეასრულეს ჩემ მიერ დასახელებული დავალება, რის შემდეგაც შევაგროვე რვეულები და მადლობა გადავუხადე კლასს ჩართულობისა და ინტერესისთვის.

ამგვარად, ხსენებული მაგალითი გამოდგება იმის გასააზრებლად, რომ ინტერესის გამოსაწვევად სრულიად საკმარისია სახელმძღვანელოში არსებული რესურსის გამოყენება, თუ მცირე ფანტაზიასა და ინოვაციურ მიდგომას გამოვიყენებთ, რაც სამომავლო პერსპექტივაში გრამატიკის სწავლებას სასიკეთოდ წაადგება.